საქართველოს მთავრობის
დადგენილება

N 195 2023 წლის 29 მაისი ქ. თბილისი

„2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის №609 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის №609 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2022, 470000000.10.003.023820) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ №20 დანართის („ახალი კორონავირუსული დაავადების COVID-19-ის მართვა“):

1. მე-3 მუხლის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) დიაგნოსტიკის უზრუნველყოფას, ცენტრის გენერალური

დირექტორის მიერ განსაზღვრული ინსტრუქციის/წესის შესაბამისად, მათ შორის:

ა.ა) შესაბამისი ბიოლოგიური მასალის აღებას, შენახვასა და ტრანსპორტირებას, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ცენტრის ლაბორატორიებში;

ა.ბ) COVID-19-ის დასადგენად ტესტირების ჩატარებას პჯრ მეთოდით (საჭიროების შემთხვევაში, ცენტრის მიერ გადაცემული ტესტსისტემების გამოყენებით), მათ შორის, პულირების (დაჯგუფების) გზით პჯრ ტესტირებას ამ დანართის მე-9 მუხლის მე-9-მე-10 პუნქტებით განსაზღვრული წესით ცენტრის ლაბორატორიებში;

ა.გ) COVID-19-ის დასადგენად ტესტირების ჩატარებას ანტიგენის განმსაზღვრელი სწრაფი/მარტივი მეთოდით (ცენტრის მიერ გადაცემული ტესტსისტემების გამოყენებით);";

ბ) „ბ" ქვეპუნქტის „ბ.ე" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. მე-4 მუხლის:

ა) „ა" ქვეპუნქტის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება ანაზღაურდება დადგენილი ტარიფით, ხოლო ლაბორატორიული დიაგნოსტიკისათვის გათვალისწინებული ტესტები (მასტერმიქსისა და ექსტრაქციის კიტები, ასევე ანტიგენის სწრაფი ტესტები) – ფაქტობრივი ხარჯით 2023 წლის 21 მაისის ჩათვლით დამდგარ შემთხვევებზე, მათ შორის:";

ბ) „ბ" ქვეპუნქტის „ბ.ზ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ანტიგენისა და ანტისხეულის განმსაზღვრელი სწრაფი ტესტების მიწოდება განხორციელდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური/საქალაქო სამსახურების მეშვეობით პროგრამის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიმწოდებლებისთვის.“.

4. მე-6 მუხლის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლებად განისაზღვრება, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების ფარგლებში, სერვისების მიმწოდებლის სტატუსის მქონე, ამ დანართის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ცენტრში რეგისტრირებული დაწესებულებები და ის დაწესებულებები, რომლებშიც „კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა სარეკომენდაციო ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულებით (შემდგომში – საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულება) რეკომენდებულ ჯგუფებში მიმდინარეობს COVID-19-ზე ტესტირება/თვითტესტირება;“;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

5. მე-9 მუხლის:

ა) მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-7 და მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. პროგრამის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული COVID-19-ის დიაგნოსტიკა განხორციელდება საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულებით განსაზღვრული ჯგუფებისთვის, ამავე განკარგულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

8. პულირების (დაჯგუფების) გზით პჯრ ტესტირებას ექვემდებარებიან საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულებით განსაზღვრული ჯგუფები, გარდა შემთხვევის სტანდარტული განმარტებით მოცული შემთხვევებისა და ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე განმახორციელებლის მიერ განსაზღვრული დამატებითი ჯგუფებისა.“;

გ) მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებს მიეცეთ უფლება, განახორციელონ პჯრ კვლევისათვის ბიოლოგიური მასალის აღება და/ან ანტიგენის სწრაფი ტესტით ტესტირება შემდეგ ჯგუფებში: თავშესაფრების ბენეფიციარები და მომვლელები, სახლში ლოგინად ჩავარდნილი და გადაადგილების უნარშეზღუდული პირები, ცენტრის მითითებით, ის ჯგუფები, რომლებიც არ არიან მოცული სხვა დაწესებულებების მიერ ტესტირების სერვისით.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2023 წლის 22 მაისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**